



მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 15 ნოემბერი, 2016 წელი

დრო: 14:00 – 16:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ოფისი
(ყოფილი ევროპის სახლი)

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ანზორ დუნდუა - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
2. მანანა დევიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
3. დათო ჭიპაშვილი - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“
4. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
5. გიორგი აბულაშვილი - ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
6. მელანო ტყაბლაძე - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
7. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
8. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
9. ნიკოლოზ ინაშვილი - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
10. ნანა მეფარიშვილი - ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
11. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
12. თეო ლერვალიშვილი - კავშირი მდგრადი განვითარებასთვის „ეკოვიჯენ“
13. ეთო ჯინჭარაძე - კავშირი მდგრადი განვითარებასთვის „ეკოვიჯენ“
14. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“
15. ნათია ღვინჯილია - ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი
16. გიორგი ძამუკაშვილი - სათემო ფონდი „ადგილის დედა“

განსახილველი საკითხები:

- ნარჩენების სისტემური მართვის საკითხები ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების შესრულებასთან მიმართებით. მომხსენებლები: ქეთევან ცხაკაია, ნინო ჩხოზაძე, ნათელა გიუნაშვილი.
- განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების პოტენციალი. განახლებადი ენერჯის დირექტივის ტრანსპოზიციის გამოწვევებისა და შესაძლებლობების შეფასება. მომხსენებლები: ნანა მეფარიშვილი, თამაზ ვაშაკიძე.
- სატყეო ენერჯეტიკული კრიზისის აღმოფხვრა ბიომასის მდგრადი გამოყენებით. მომხსენებელი: მელანო ტყაბლაძე
- ვადაგასული და ფალსიფიცირებული პესტიციდებისა და სხვადასხვა ბიო-ქიმიური საშუალებები გამოყენება ფერმერულ მეურნეობებში. მომხსენებელი: ნანა ფიროსმანაშვილი.
- ჰაერის დაბინძურების ხარისხის მონიტორინგის სისტემა საქართველოში და ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების გზები. მომხსენებელი: მანანა დევიძე
- ენერგოეფექტურობის ფონდის შესაძლო შექმნის საკითხი.
- დიკუსია თემების ირგვლივ საპარლამენტო და უწყებათაშორის განსახილველი საკითხების გასატანად.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნეს ჯგუფის კოორდინატორებმა და დამსწრეებს გააცნეს შეხვედრის დღის წესრიგი.

შეხვედრის პირველ ნაწილში ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, დედამიწის მეგობრები“-ს წარმომადგენლმა ბატონმა ნიკოლოზ ინაშვილმა წარადგინა კვლევის პრეზენტაცია: „ნარჩენების სისტემური მართვის საკითხები ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების შესრულებასთან მიმართებით“. ბატონმა ნიკოლოზმა ისაუბრა იმ გამოწვევების შესახებ, რომლებიც არსებობს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საკანონმდებლო ბაზაზე. მისი თქმით, ახლადმიღებულ, ნარჩენების მართვის შესახებ კანონში, არის ხარვეზები, მაგალითად არ არის გაწერილი რეგულაციების აღსრულების მექანიზმი, ყურადღება არ მახვილდება სამშენებლო ნარჩენებზე, არ ხდება ნარჩენების სეპარირება და სხვა.

გარდა ამისა, როგორც ბატონმა ნიკოლოზმა აღნიშნა, არ არსებობს მუნიციპალური სამოქმედო გეგმა ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შედეგად, აღებული აქვს ვალდებულება 2017 წლის დეკემბრამდე ჰქონდეს მუნიციპალური სამოქმედო გეგმები, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა.¹

საკითხთან დაკავშირებით, ორგანიზაცია იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრის“ წარმომადგენელმა ქალბატონმა ქეთევან ცხაკაიამ, ისაუბრა ნარჩენების სეპარირების იმ

¹ კვლევის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ორგანიზაციის ვებგვერდზე.

გამოცდილებაზე ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნებთან მიმართებაში, რომელიც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს აქვს. როგორც ქალბატონმა ქეთევანმა აღნიშნა, ევროკავშირის შავი ზღვის პროგრამის ფარგლებში ქ. ქუთაისში, დაიდგა ნარჩენების სეპარირებისთვის განკუთვნილი სპეციალური კონტეინერები. მისი მონაცემებით, 18 თვის განმავლობაში ქუთაისში შეგროვებულია 40 ტონაზე მეტი სეპარირებული პლასტმასის ნარჩენი.

მიუხედავად მიღწეული წარმატებისა, ქალბატონმა ქეთევანმა ხაზი გაუსვა რომ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. მუნიციპალიტეტებმა 2019 წლისთვის უნდა დაიწყო ნარჩენების სეპარირება 2025 წელს კი უკვე ჩამოყალიბებული უნდა იყოს მთელი სისტემა, მათ შორის 2020 წელს რეციკლირების მინიმალური მაჩვენებლები ქალაქის და პლასტმასის შემთხვევაში უნდა იყოს 30%, მინის 20% ხოლო მეტალის ნარჩენისას 70 %.²

შეხვედრის შემდეგ ნაწილში, ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტის წარმომადგენელმა, ქალბატონმა ნანა მეფარიშვილმა ისაუბრა განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების პოტენციალის შესახებ. ქალბატონმა ნანამ, თავის მოხსენებაში შეაფასა განახლებადი ენერჯის დირექტივის ტრანსპოზიციის გამოწვევები და შესაძლებლობები. მისი ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით პოზიტიური ნაბიჯები გადაიდგა, დამონტაჟდა ქარის ტურბინები და სხვა, მნიშვნელოვანი გამოწვევები მაინც არსებობს.

აქვე, ქარის ტურბინებთან დაკავშირებით ბატონმა თამაზ ვაშაკიძემ გამოხატა სურვილი რომ გამოინახოს შესაბამის თანხები ამ კომპლექსზე მე-3 ჯგუფის ექსკურსიის ჩასატარებლად.

გამოწვევებზე საუბრისას, ქალბატონმა ნანამ აღნიშნა, რომ არ არსებობს საბიუჯეტო სექტორის ენერგომომხმარებლის ბაზა, რისთვისაც აუცილებელია საჭირო საბიუჯეტო სექტორის იძულება, რომ მათ გააკეთონ თავიანთი საბიუჯეტო ენერგოხარჯების წარდგენა. ასევე, გაკეთდეს საბიუჯეტო ორგანიზაციების შესწავლა რამდენი ენერჯია უნდა დაიხარჯოს სინამდვილეში და რამდენი იხარჯება.

კიდევ ერთი პრობლემა გახლავთ საერთაშორისო გამოცდილების ვიზუალურად გადმოტანა, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან პრობლემებს იწვევს. ასევე მნიშვნელოვანია განათლების პრობლემაც, არ არსებობს შესაბამისი ლიტერატურა ქართულ ენაზე და სხვა.

ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საქართველოს ეროვნულმა პლატფორმამ შეიმუშაოს წინადადება საბიუჯეტო სექტორისათვის ენერგოხარჯების მონაცემთა ბაზის შექმნის შესახებ, რომელიც იქნება ერთგვარი საფუძველი ენერგოეფექტურობის განსასაზღვრად და წარუდგინოს შესაბამის უწყებებს.

შეხვედრის მიმდინარეობისას კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) წარმომადგენელმა, ქალბატონმა მელანო ტყაბლაძემ ისაუბრა CENN-ის მიერ მომზადებულ კვლევაზე, სადაც გაანალიზებულია ტყეების მოხმარების ხარჯთსარგებლიანობა, კვლევაში ასევე განხილულია სხვადასხვა ალტერნატივები ეკონომიკური ჭრილში. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ალტერნატიულ სათბობ საწვავზე

² იხილეთ თანადართული პრეზენტაცია.

გადასვლა არის გარდაუვალი გამოწვევა საქართველოსთვის.³ CENN-თან ერთად, მათ კვლევაზე დაყრდნობით აღნიშნულ საკითხზე, მუშაობდა ორგანიზაცია „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“, რომლის თავმჯდომარემ ბატონმა მურმან მარგველაშვილმა დეტალურად ისაუბრა კვლევის შედეგებზე. დასკვნის სახით კი შეაჯამა, რომ: „*იმისთვის, რომ დაძლეულ-იქნას საქართველოში შემის მოხმარებასთან დაკავშირებული კრიზისი და მოწესრიგდეს ბიომასის ენერგეტიკული გამოყენება, აუცილებელია ერთიანი სახელმწიფოებრივი მიდგომა, რომელიც გააერთიანებს სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების ძალისხმევას და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობას.*“⁴

სამუშაო ჯგუფმა შემდეგ საკითხად განიხილა ენერგოეფექტურობის ფონდის შესაძლო შექმნის საკითხი. თუმცა, რამდენადაც ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა არ არის გამოქვეყნებული და სამინისტროს პოზიცია ჯერ კიდევ ბუნდოვანი და გაუგებარია ჯგუფმა საკითხი განსახილველად სხვა შეხვედრისთვის გადადო.

შეხვედრის ბოლოს ჯგუფმა ჩამოაყალიბა საპარლამენტო და უწყებათა შორის განხილვებისათვის შემდეგი წინადადებები:

- საშიშ ქიმიური ნივთიერებებზე შემოტანის კონტროლის გამკაცრება;
- წყლის კანონის დაგვიანების მიზეზებისა და კანონის მიღების სავარაუდო თარიღის დადგენა;
- ახალი გზის კანონმდებლობა და მდინარის ქვედა დინებაში დასატოვებელი გარემოსდაცვითი ხარჯის დადგენის მეთოდოლოგიის შემუშავება;
- ენერგოეფექტიანობისა და ენერჯის განახლებადი წყაროების შექმნის შესახებ კანონის მომზადება;
- ენერგოხარჯების მონაცემთა ბაზის შექმნა საბიუჯეტო სექტორისათვის, რომელიც იქნება საფუძველი ენერგოეფექტურობის განსასაზღვრად;
- სატყეო საკითხი. ტყეების მართვისა და ტყის რესურსების გაყიდვის ერთი უწყების კომპეტენციის ქვეშ არსებობის შეუთავსებლობა, ამ უწყების შესაძლო პოტენციურ მონოპოლისტად გადაქცევის გამო;
- ბიომასის გამოყენების საკითხის სახელმწიფოებრივ დონეზე აყვანა.
- ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემი გაუმჯობესება;
- საწვავის ხარისხის ობიექტური განსაზღვრისათვის სახელმწიფო სტრუქტურის შემოღების აუცილებლობა;
- გლობალური ინდიკატორების კომისიის შექმნა.

დროის სიმცირის გამო, დამსწრე საზოგადოებამ გადაწყვიტა საპარლამენტო და უწყებათა შორის განხილვებისთვის წინადადებების მომზადება, შეხვედრის ფორმატი და სხვა დეტალები ჯგუფის სამუშაო ელექტრონული ფოსტითა და ჯგუფის შემდგომ შეხვედრაზე განიხილონ.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.

³ იხილეთ თანდართული პრეზენტაცია.

⁴ იხილეთ თანდართული პრეზენტაცია.